საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 090000000.05.001.019074) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის მე-3 მუხლის 32^1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის მე-3 მუხლის 32^1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 30 მარტიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლები ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

30 ნოემბერი 2018 წ.

N3823-Iს